№ 180 29 ღვინობისთვე, შაბათი 1866—1877 29 ღვინობისთვე, შაბათი № 180

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲨᲘ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 43
ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲐ: ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ. ᲑᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ—8 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲡᲐ—4 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 50 ᲙᲐᲞ., ᲝᲗᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ—3 ᲛᲐᲜ., ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲐ—1 ᲛᲐᲜ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲡ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲝᲖᲔ—ᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲞ., ᲐᲮᲐᲚ ᲛᲝᲗᲐᲠᲒᲣᲚᲘᲗ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ—8 ᲙᲐᲞ., ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲝᲠᲘᲪᲔᲠᲝᲗᲘ—5 ᲙᲐᲞ., ᲞᲐᲢᲠᲐ—4 ᲙᲐᲞ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ. ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ, 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲗ, ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ 23 ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲚᲐᲫᲝᲡ ᲨᲕᲘᲓ ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲓᲚᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲗ ᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲜᲘᲓᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲣᲐᲠᲔᲗ ᲫᲢᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲨᲣᲐ ᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲕᲐᲠᲔᲗ. ᲨᲫᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲒᲐᲫᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ, ᲨᲠᲔᲕᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲚᲙᲔᲑᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲮᲘᲡ.

ᲛᲢᲔᲠᲘ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲡᲐᲙᲔᲑ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ. ᲗᲝᲕᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲘᲰᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲘᲛᲐᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲡᲓᲔᲜᲐ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲫᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲐᲗᲘᲔᲡ ᲦᲐᲛᲔ.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲐ 40 ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲢᲧᲕᲘᲐ-ᲬᲐᲛᲐᲚᲘ.

ᲢᲧᲕᲔᲗ ᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ 8 ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲓᲐ 300-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ 30 ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲓᲐ 800-ᲛᲓᲘᲗ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲙᲚᲔᲡ ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙ. ᲞᲝᲓᲑᲔᲠᲔᲯᲘᲡᲙᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲫᲔᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲭᲠᲔᲡ ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙ. Ꭾ.ᲠᲚᲝᲓᲔᲕᲘ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲕᲘᲗᲝᲛᲪ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲘᲜᲝᲡᲗ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲘᲧᲝᲗᲝ ᲐᲚᲠᲘᲜᲦᲔᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲛᲣᲠᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲐᲮᲚᲐᲓ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲢᲐᲮᲢᲖᲔᲓ ᲐᲧᲕᲐᲜᲐᲝ. ᲔᲐ ᲮᲛᲐ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲠᲐᲓᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲚᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲕᲐᲚᲔᲡ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ (7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ). ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲨᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ-ᲠᲐ. ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲭᲣᲚ ᲑᲠᲔᲕᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲔᲑᲘ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲚᲝᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲩᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲠᲐᲒᲖᲣᲖᲐ, 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲗᲝᲛᲤᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ, ᲛᲢᲔᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲔᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡᲝ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 ᲦᲕᲘᲜᲝᲑ. ᲓᲦᲔᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲗ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲘᲛᲐᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲐᲓ.

ᲡᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ; ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲐ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲛᲐᲚᲐ-ᲛᲐᲰᲝᲜᲡ ᲛᲘᲔᲛᲮᲠᲜᲔᲜ. ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲗᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲚᲐᲓ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲑᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐᲛ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲦᲕᲔᲜ. ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲠ-ᲦᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲔᲑᲘ 23 ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲚᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲐ ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ, ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲢᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲐᲜ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲬᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲪ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲛᲐᲡ—ᲗᲣ ᲡᲐᲘᲗᲙᲔᲜ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ ᲛᲢᲔᲠᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲰᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲣᲤᲐ ᲙᲐᲪᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲚᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡᲯᲐᲠᲘ ᲛᲣᲰᲗᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲔᲑᲡ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲬᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲒᲐᲔᲛᲐ�გᲠᲔᲑᲘᲜᲐᲗ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲕᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲛ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲖᲘᲜᲖᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲥ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲡᲐᲪ ᲑᲚᲝᲛᲐᲗ ᲘᲛᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲪ ᲛᲐᲚᲔ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗ.

ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲘᲜᲗ, ᲠᲝᲛ-ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲡ ᲐᲡᲔ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲜᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ, ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲥᲕᲗᲝ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

—

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ ᲛᲝᲕᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ 20 ᲓᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ:

„ᲐᲖᲘᲘᲓᲐᲛ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ 20 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲐ ᲣᲠᲣᲯᲣᲨᲘ (ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲚᲘᲜᲗᲐᲜ) ᲛᲝᲡᲣᲚᲐ. ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ, ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ; ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲙᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲡ ᲓᲐᲘᲪᲕᲔᲜ.“

—

„ᲨᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ“ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲣᲰᲗᲐᲠ ᲓᲐ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔᲖᲔ:

„ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ 35 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲜᲣ 25 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲐᲪᲘ. ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐᲛ, ᲐᲚᲘᲐᲠᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 38 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲐᲛᲐᲪ 18 ᲣᲐᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ (ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲚᲘᲜ-ᲓᲗᲐᲜ) ᲬᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲐᲛᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲣᲜ-ᲛᲝᲡᲚᲔᲚᲝᲓ ᲡᲙᲘᲓᲔᲕ 20 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲖᲠᲣᲛᲘᲗᲓᲐᲛ ᲓᲐ 15 ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲐᲛᲓᲘᲜ ᲞᲔᲜᲘᲐᲙᲘᲗᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲗᲓᲐᲛ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲡᲣᲚ ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ 50 ᲐᲗᲐᲪᲐᲛᲓᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲓᲔᲡ.

„ᲗᲣ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲣᲛᲐᲢᲔᲑᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲘᲗᲓᲐᲛ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲗᲓᲐᲛ (ᲓᲔᲠᲕᲘᲨ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲘᲗᲓᲐᲛ) ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲯᲐᲠᲔᲑᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲗᲛᲛᲐᲛᲐᲓ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲛᲠᲣᲛᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲢᲠᲘᲡᲐ.“

—

„ᲰᲘᲠᲨᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲐ 18 ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ:

„Დ. Თ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠ-ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐ ᲛᲐᲪᲠᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲐᲠᲡᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲑᲐᲖᲔ. ᲠᲐᲪ ᲐᲥ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲨᲘ, ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲝᲗ, ᲡᲣᲚᲛᲐᲪᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ-ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲐᲬᲧᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲝᲜ ᲐᲛ ᲪᲘᲮᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ.“

—

„ჰავასის სააგენტოში“ იწერებიან, რომ ᲣᲐ-ზი-მაჰმა შამილს, რომელიც ᲐᲚᲐᲯᲐᲓᲐ-ღის მთებთან, 3 ღვინობისთვის ბრძოლის დროს, გარშემორტყმული იყო რუსის ჯარისაგან, თავის ცხენოსანი ჯარით (ჩერქეზებით) თავი დაუხწევია მტრისაგან და 12 ღვინობისთვეს მუხთარ-ფაშის არმიას შეერთებია ზივინთან.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

რუსულს გაზეთს „ᲐᲮᲐᲚᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲓᲐᲛ 21 ღვინობისთვეს მიღებული:

„ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ როდი უთხოვნია ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ რუსეთთან მოგვარიგეო, არამედ თვითონ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲛᲐ მისცა ამ საგნის შესახებ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡ წინადადება. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲛᲐ პირობების პროექტი გაუგზავნა პორტას და თან შეატყობინა, რომ თუ ამ პირობებზე დათანხმდება, მაშინ ის მორიგებაზე შუამდგომლობას იკისრებს.

„ᲔᲡ პირობები არიან შემდეგნი: ავტონომია, ე. ი. ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲑᲝᲡᲜᲘᲘᲡᲐ, ᲰᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲘᲡᲐ და ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡᲐ; ადგილობრივ ხალხისაგან ამორჩევა უმთავრესის ჩინოვნიკებისა და ყოველ წლივ გადაჭრილი ხარჯის ძლევა ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

—

ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთის სიტყვით, ოსმალოები ეშმაკობით ავრცელებენ ხმასა, რომ ვითომც მეჰმედ-ᲐᲚᲘ-ფაშა სერბიის სამზღვრებზე დაყენებულ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარის უფროსად ინიშნებაო; ნამდვილად კი ამ ღენერლის მინდობილობა ის არისო, რომ ᲝᲠᲮᲐᲜᲘᲔᲡᲗᲐᲜ დიდ-ძალი ჯარი დაამზადოს და აქედამ ხელი მოუწყოს პლევნოში დამწყვდეულს ᲝᲡᲛᲐᲜ-ფაშის არმიასო.

—

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ გაზეთი „Algemeine Zeitung“ გვაცნობებს, რომ პლევნოსთან რუს-რუმინების შეერთებული ჯარის რიცხვი სულ 130,000 კაცს შეადგენსო და ძნელად წარმოსადგენიაო, რომ ამ ძლიერ არმიას გადაურჩეს პლევნო და ᲝᲡᲛᲐᲜ-ფაშის ჯარები, თუ გარედამ რამ საშუალება არ მონახეს ოსმალებმა იმის დასახსნელათაო.

—

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ სამინისტროს გაზეთში „Standard“-ში დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია 17 ღვინობისთვეს სტამბოლიდამ გამოგზავნილი:

„სტამბოლი ერთობ აღელვებულია. ᲐᲗᲐᲡ ნაირი ხმა არის ხალხში დაყრილი; ამბობენ, ვითომც რუსებმა უკვე აიღეს პლევნოო, ᲝᲡᲛᲐᲜ-ფაშის არმია სრულიად დამარცხებულიაო, რუსის ღენ. ᲑᲣᲠᲙᲝ ხელ-ახლად გადმოვიდა ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡ მთებზე და ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ მოდისო, დღეს-ხვალ სტამბოლს მოადგებიანო და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, ყველა ეს ჭორებია, მაგრამ ამ გვარი ჭორები ხალხს აღშფოთებს.

„ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მთავრობას კი ჯერ-ჯერობით სრულებით არ ეტყობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა; დიდი მზადებაა საზამთროთ, ჯარებს აგროვებენ, ასწავლიან, წრთვნიან, დიდ-ძალი თფილი ტანსაცმელი შეუკვეთეს აქაც და სხვა ქვეყნებშიაც. მაგრამ რაც უნდა იყოს, დარწმუნებით ამბობენ, რომ ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲘ მზათ არის შეურიგდეს რუსეთსო, თუ რიგიანი პირობები წარმოუდგენაო.“

—

ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲘ გაზეთის „Le Temps“-ის ბუხარესტელი კორესპონდენტი იწერება, მე ნამდვილად შევიტყეო, რომ ᲝᲡᲛᲐᲜ-ფაშას იმდენი სურსათი აქვს პლევნოში დამზადებულიო, რომ ეს სურსათი იმის ჯარს შუა ნოემბრამდინ ძალიან კარგათ ეყოფაო. და თუ იმ დროამდინ სხვა ჯარები არ მოეშველნენ, ან სხვა როგორმე არ მოგვარეს საქმე, მაშინ კი, უეჭველია, ის იძულებული იქნება ან დაჰყაროს თოფ-იარაღი და დაემორჩილოს მტერს და ან, თუ ის მხნე და თავგადადებული კაცია, პლევნოსთან დაყენებულ რუს-რუმინებს ჯარის გაპობასა და ამ ქალაქიდამ თავის ჯარით გამოსვლას გაბედავსო.

—

ᲑᲐᲖᲗᲘ „Tagblatt“ იწერება, რომ რუსეთმა გამოუცხადა სერბიასაო, რომ იმის დახმარება ამ ომში საჭირო არ არისო და ამის გამო იმან მოუსპო სუბსიდია, (თვეში ერთი მილიონი), რომელსაც ომის საჭიროებისათვის დღემდინ აძლევდაო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

—

ᲐᲛ ოქტომბრის ოც-და-ათისათვის დანიშნულია, როგორც მოგეხსენებათ, არაჩვეულებრივი საზოგადო კრება ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიის თავად-აზნაურობისა განსახილველად, გამოცხადებისა-მებრ, შემდეგი საბანკო საგნებისა:

Ა). ᲨᲣᲚᲡ შემოტანის დროება იმ მოვალე პირთა თხოვნით, რომელნიც იღებენ მონაწილეობას ეხლანდელ ომში.

Ბ). ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ორი წევრის ამორჩევა და

Გ). ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲮᲐᲠᲯᲖᲔᲓ, რომელიც საყოველთაო კრებისაგან დამტკიცებულს ხარჯის ანგარიშში არ არის მოხსენებული.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ უნდა თქვას კაცმა—ᲖᲔᲛᲝᲛᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ განსახილველი საგნები იმ გვარი არ არიან, რომ უთუოდ—დღეს თხოულობდნენ საზოგადო კრებისაგან გადაწყვეტილებას. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ გაჭირვებულ დროს, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, შეიძლებოდა ამ საგნების განხილვა აპრილამდის გადადებულიყო, მომავალ ჩვეულებრივ კრებისათვის.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ მეორეს მხრით ესეც კი არის სათქმელი, რომ, რადგან ჩვენ ძრიელ მოკლებული ვართ თავის შეყრისა და საზოგადო საჭიროებაზედ მოლაპარაკების შემთხვევას, მომავალი არა-ჩვეულებრივი კრება მარტო ამითაც დიდს სარგებლობას მოიტანს, რომ იმის შემწეობითა ჩვენ გვეძლევა ძვირფასი შემთხვევა მოვიფიქროთ და მოვისაზროთ რამ ჩვენს შეეწროებულ მდგომარეობაზედ და ჩვენს სატკივრებზედ, რომელნიც მეტად საგრძნობელნი დარჩნენ ამ ბოლოს დროსა. ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲘᲡ მოლაპარაკებას და მოფიქრებას ხშირად კეთილი საქმეც მოსდევს, და ღმერთმა ᲰᲥᲜᲐᲡ—ᲩᲕᲔᲜᲪ გვეღირსოს საზოგადო კეთილ საქმეს თავი გამოვაბათ.

ᲔᲠᲗᲘ უმძიმესთაგანი ჩვენი სატკივარი არის სიღარიბე—ის სამწუხარო მდგომარეობა, რომლის ძალითაც ჩვენ ჩვენი მამულები ვეღარ გვარჩენენ; შიმშილით, მართალია, არ ვიხოცებით,—ვაი-ვაგლახით ლუკმა-პურს კი ვმოულობთ; მაგრამ ვაი ამ პურსაცა და ვაი ამ ცხოვრებასაცა!

ᲑᲔᲕᲠᲘ ლაპარაკი აღარ უნდა, ყველამ ვიცით, რა გაჭირვებულები ჩვენა ვართ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ სამწუხარო მდგომარეობას წამლობა ᲰᲐᲰᲘᲠᲘᲐ და ღონის-ძიების მოპოვება, რომელზედაც ჩვენს თავად-აზნაურობას კარგად მართებსთ ფიქრი და დაკვირვება.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ღმერთს, მმართებლობის განკარგულების წყალობით, ამ უკანასკნელ დროში ჩვენს ქვეყანას ძრიელ უნდა გაუადვილდეს ნივთიერად წარმატების ადმი მსვლელობა. ᲑᲐᲯᲘᲡ მომატებამ უცხო ქვეყნებიდგან რუსეთში შემოსატან მიწის მოსავალზედ, მეტადრე თამბაქოზედ *), ძრიელ უნდა გამოაღვიძოს ჩვენი წარმოება და მეურნეობა. ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲖᲔᲓ მაინც ისე აწეულა ᲑᲐᲯᲘ, რომ უცხოეთის თამბაქოს შემოტანას რუსეთში ადგილი აღარ ექნება. ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲡ რუსეთში ექვსი მილიონი მანეთის თამბაქო იხარჯებოდა გარეშე ქვეყნებიდგან შემოსული და დღეს კი მომეტებული

*) მომავალ 1878 წ. იანვრიდგან ᲑᲐᲯᲘ თამბაქოზედ 14 მანეთად უნდა გახდეს და ისიც ოქროს ანგარიშით, ასე რომ ქალალდის ფულის დღევანდელ მაზანდით 22 მანეთამდის მეტი მოვა ფუთზედ მარტო ᲑᲐᲯᲘ.

ნაწილი ამ მოთხოვნილებისა თითქმის მარტო კავკასიამ და ყირიმმა უნდა დააკმაყოფილონ, რადგან რუსეთის სამზღვარს შიგნით მხოლოდ ამ ქვეყნებში მოდის რიგიანი თამბაქო.

მკითხველს ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს—თუ როგორ აიწევს თამბაქოს ფასი *) და რა ნაირათ მოხალისდებიან მოგებაზედ თვალ-ყურის მჭერი ჩვენი მიწის პატრონები და მუშები.

მაგრამ გაჭირება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ქვეყანაში დიდი უფულობაა და რადგან თამბაქოს მოყვანას კარგა დიდი ხარჯი ჰსჭირდება, ამისთვის ჩვენს წარმოებას და შეურნეობას ამ მხრით დიდი დაბრკოლება მიეცემა და დიდს ხანსაც ვერ შეიძლებენ ფეხზე წამოდგომას, თუ რამ საშუალება და ხელის გამწყობი საქმე რამ არ აღმოჩნდა; ერთ-რიგი ხელის გამწყობი ბანკის დაფუძნება ჩვენში აუცილებელად საჭიროა.

ეს ბანკი უნდა იქნეს მოსავალზედ გამსესხებელი, მხოლოდ ერთი წლის ვადითა, და სესხი უნდა გაიყოფოდეს ორ ნაწილად,—ერთი ნაწილი უნდა ეძლეოდეს თამბაქოს გადარგვის დროს და მეორე—აღების დროსა.

მკითხველს შეუძლიან ამაზედ სიტყვა გამაწყვეტინოს და მითხრას, რომ ამისთანა საქმის საძირკველი და სულის ჩამდგმელი ფულია და ჯერ ფულის შოვნა უნდა და მერმე ლიპარაკიო. ჭეშმარიტი სიტყვაა. ოღონდ ჩვენი თავად-აზნაურობა კი დარწმუნდეს, რომ ამ რიგი ბანკის დაარსება ნამდვილად საჭიროა და ქვეყნისათვის სასარგებლო, თორემ ყველა ადვილად მოხერხდება.

რაც ფულის შოვნას შეეხება, საზოგადო კრებას სრული სიმართლე აქვს მოხსენებულის ბანკის დასაფუძნებელად მოიხმაროს ის ოც-და-თექვსმეტი ათასი მანეთი, რომელიც თავად სვ. აბაშიძეზედ ირიცხება ვალად და რომელიც ამ დღეებში სრულიად ჩაებარება ჩვენ საადგილ-მამულო ბანკის ბამგეობას. ჩვენი ბანკის წესდების მმართებლობისაგან დამტკიცებამდის ეს ფული როგორც იყო, ხელად გასესხებული, ისევ ისე დარჩა ბანკის დასაფუძნებელ ჯამის გარეშე, ისე რომ საზოგადო კრებას სრული უფლება აქვს მმართებლობის დაუკითხავად მოიხმაროს ეს ფული ისე, როგორც სამჯობინაროდ დაინახავს.

მეორე წყარო ფულის საშოვარი გახლავს—ყოველ წლიური შემოსავალი ჩვენი საადგილ-მამულო ბანკისა წმინდა სარგებლის ნახევარი, რომელიც აგრეთვე საზოგადო კრების სრულს განკარგულებაშია და რომლის ჯამი ამ პირველსავე წელიწადს ათი ათასი მანეთამდის უნდა შედგეს.

ერთი სიტყვით, რაც ფულის შოვნას შეეხება, ამ მხრით დამაბრკოლებელი მიზეზი არა არის - რა; მაშასადამე საქმე მხოლოდ ჩვენი თავად-აზნაურობის ცნობილ გონიერებაზედ დასამშობლო ქვეყნისადმი გულის შემატკივრობაზედ არის მივარდნილი.

და სრული იმედია ჩვენი კრება დაუყოვნებლივ შეუდგება ამ საქმის განხილვას და დროზედ ამოირჩევს მოხსენებულ ხელ-გამწყობ ბანკის წესდების შედგენისათვის ჯეროვან კომმისიას.

ვ. ნ.

ქუთაისი, 27 ოქტომბერს.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 24 ღვინობისთვეს. ჩვენი პრისტავის თანაშემწე უ. პროკოფეევი ბორის უეზდში ხშირად დაიარება სხვა და სხვა საქმეების აღსასრულებლათ; მეორე პრისტავის თანაშემწე უ. ტატიევი ავათ გახლავთ და გარეთ ვამოსვლა არ შეუძლიან. დარჩა პრასტავი უ. ხმიადოვი რომელიც წარსულს თვეში ოთხი დღე ქალაქში იყო დაამის მიზეზით ბორის პოლიცია დაკეტილი იყო; დილით კიდევ არა უჭირდა რა ქალაქს: უეზდის უფროსი შუადღემდინ აქ იმყოფება ხოლმე და შემდეგ თავის სოფელში მიდის, რადგანაც ბორის მახლობლათ ცხოვრობს ზაფხულში, და ამნაირად ქალაქი სადილს უკან მეორე დილის 9 საათამდინ ხშირად დესეტნიკების ამარა რჩება. მაგრამ ესეც უნდა დაუმატო, აქაც რომ ბძანდება უ. ხმიადოვი ძრიელ თავს არც მაშინ იცხელებს ქალაქისთვის: მკათათვეში ერთ უბანში ორს მეზობელს ჩხუბი მოუვიდათ; როცა ერომანეთი დასისხლიანეს, უ. პრისტავი მაშინ მივიდა გასაშველებლათ, ისიც იმიტომ, რომ ხუთჯერ მივიდნენ და სთხოვეს: „გვიშველეო.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენს უპრავაზედაც ვსთქვათ.

მიუდგომელათ ვიტყვი, როგორც გამიგონია: აქაური ქალაქის თავი ცდილობს, რომ ქალაქის საქმე წინ წაიყვანოს. მაგრამ ასეთი ხმოვანები ჰყავს ბორსა, რომ ამათ ხელში რაიმე საქმის გარიგება ძნელია. ქალაქის თავი გინდა წევრი რომ კეთილს საქმეზე ზრუნავდეს და აქაურ მცხოვრებელს კეთილათ არიგებდეს, გამოვარდება ერთი ხმოვანი და ამ თავის ანუ წევრის წინააღმდეგ დარიგებას აძლევს ხალხსა.

ერთ ამშენებელს რომ ოცი დამქცევი ჰყავდეს, იქ გაკეთდება რამე? ჩვენი უპრავის საქმეც ასე გახლავს.

27 იმ თვისას მთელი ბორელობა დაბარებული იყო ბორის უეზდის უფროსისგან. 21 კაცი უნდა აერჩიათ წილისყრით და გაეგზავნათ მილიციონერებად, რომელიც შეწერილია ბორზედ უმაღლესის მთავრობისაგან. მაგრამ ამათ აღარ აარჩიეს ხალხის თხოვნით და ისე მოახერხეს, რომ ფული შეჰკრიფონ და მისცენ იმ პირებს, რომელნიც ამათ იქირავეს და გაგზავნეს წარსულს იანვარში. ამ ფულს ხდილობს ბორში სულ დაბალი ხალხი ვიდრე 340 კომლი, დანარჩენი 700 კომლი არას აძლევს, ზოგი გილდიის მოწმობით იფარავს თავსა, ზოგიც თავის ოჯახში ერთია, ზოგიც ორმოც წელიწადზედ მეტია, ზოგი, რასაკვირველია, სუსტი და ავათმყოფია და სხ. და საწყალ-გაჭირებულ ხალხს კი ამისთანაებს ვინა ჰკითხავს!

ბორელი

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

მარშალი მაკ-მაჰონი კიდევ ახალ მინისტრებს ეძებს, რადგან ძველმა ბროჰლი-ფურტუს სამინისტრომ ვერ გაამართლა თავის დაპირება და უკანასკნელი კენჭის-ყრით ვერ შეადგინა მომავალ ნაციონალურ კრებაში ისეთი უმრავლესობა, რომელსაც ამ სამინისტროსა და თვითონ პრეზინდენტის მომხრეობა და დანდობა აღმოეჩინა.

ეს უმრავლესობა მომავალს პალატაში, როგორც მოგეხსენებათ, ისევ მარცხენა მხარეს, ე. ი. რესპუბლიკელებს ეკუთვნის და მაშა სადამე სამინისტროც ისეთი უნდა იყოს, რომ, კრების გახსნისა-თანავე, იძულებული არ შეიქნეს თავის თანამდებობას თავი დაანებოს; ერთის სიტყვით სამინისტრო რესპუბლიკელებისაგან უნდა იქნეს შემდგარი.

თუმცა მაკ-მაჰონმა, როგორც ამბობდნენ, გამოაცხადა ამას წინათ, რომ მე რესპუბლიკელებთან საქმის დაჭერა, იმათთან სახელმწიფოს გამგეობა არ შემიძლიანო, მაგრამ ის იძულებული იქნება, ან ეს ახალი კრებაც დაითხოვოს, ან თავის თავი დაითხოვოს პრეზიდენტობისაგან (როგორც ბამბეტტამ უწინასწარმეტყველა) და ან ისევ რესპუბლიკელებს მოიწვიოს სამინისტროს შესადგენათ.

როგორც უკანასკნელის ფოჩტით მოსული ფრანცუზული გაზეთები გვატყობინებენ, მაკ-მაჰონს ეს უკანასკნელი საშუალება ამოურჩეია; გადაწყვეტილი აქვსო, ამბობენ, რომ ბროჰლი-ფურტუს

---

*) ამ ორი თვის წინად გაიყიდა იმერეთში წასულის მოსავლის შუათანა ღირებიბ თამბაქო 18 მანეთად ფუთი.

სამინისტრო დაითხოვოს და მარცხენა ცენტრს (ადრინდელ ორლეანისტებს, ახლანდელ რესპუბლიკელებს) მიმართოსო. თუ ეს მართალია, მაშინ დროებით დაწყნარდება აღელვებული საფრანგეთი; მაშინ, უეჭველია, რესპუბლიკური უმრავლესობა პალატისა ხელს მოუმართავს ამ თავის წევრებისაგან შემდგარ სამინისტროს და ცოტა ხნით მაინც წყნარად, მშვიდობიანათ სახელმწიფო საქმეების მსვლელობას უნდა მოველოდეთ საფრანგეთში.

— დიდი მნიშვნელობა ექნება საფრანგეთის მომავალისათვის იმ გარემოებას, რომ, როგორც გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა დეპეშამ გვაცნობა, მუნიციპალურ რჩევებში (ქალაქის გამგეობებში) მომეტებული ნაწილი რესპუბლიკელი წევრები ამოურჩევიათ; დიდი მნიშვნელობა ექნება იმიტომ, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ნახევარი წევრები სენატისა ამ მუნიციპალურ რჩევებმა უნდა ამოარჩიონ; ესენი, რასაკვირველია, რესპუბლიკელებნი ამოარჩევენ სენატორებად, და მაშინ, თუ სენატშიაც ამ პარტიას უმრავლესობა ეყოლება, რესპუბლიკის პრეზიდენტი ისე ველარ მოეპყრობა ნაციონალურ კრებას, ასე ადვილად ველარ დაითხოვს იმას, როგორც გასულ 18 მაისს დაითხოვა.

მს მუნიციპალურ კრებებში რესპუბლიკელების გამარჯვება კიდევ უფრო აიძულებს მაკ-მაჰონს, რომ ნამდვილი რესპუბლიკური კაბინეტი შეადგინოს.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

პარიჟიდამ იწერებიან, რომ მითხად-ფაშა, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრებდა, ახლა მარსელში წასულა და აქედამ ნეაპოლში აპირებს ამ ზამთრისათვის წასვლასაო. ამ უკანასკნელ დროს რამდენიმეჯერ მისელია, როგორც ამბობენ, მითხად-ფაშას სულთანისაგან წერილი და სტამბოლში მოსელის ნება მისცეო; მაგრამ მითხად-ფაშას უცნობებია, რომ ის დიდის სიამოვნებით ასრულებს ხონთქრის ბრძანებას, როცა დარწმუნდება, რომ თავის ქვეყანაში უფრო გამოსადეგი და საჭიროა, ვინემ გარეთ.

მითხად-ფაშა ამბობს თურმე, რომ რუსეთი და ოსმალეთი მალე მორიგდებიანო. ამ ჰაზრს ის იმაზე აფუძნებს, რომ ამ ზამთარში რუსის ჯარს ბოლგარიაში გაძლება არ შეუძლიანო, უეჭველად ისევ დუნაის მარცხენა ნაპირზე უნდა დაბრუნდნენო, ორთავე მეომარნი ერთობ შეწუხებულნი იქნებიანო, და ამის გამო ორთავენი ძალა-უნებურად დათანხმდებიან მორიგებაზედაო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲚᲒᲐ

ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲘᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ამას აცხადებს, რომ, ბანკის წეს-დების მე-18 მუხლის საფუძვლით, ამ წლის 29 ნოემბერს ბანკის ბამგეობაში გაისყიდება საზოგადო ეაჭრობით უძრავი მამული ელისაბედ სვიმონის ასულის ჩარექოვისა.

მამული მდებარეობს ქალაქს ქუთაისში, ბეგუთის ქუჩაზედ, და შეიცავს აღგილს ზომით ასს ოთხ-კუთხე საჟენს და მასზედ აშენებულს შვიდს ერთ-ეტაჟიანს ქვით-კირის დუქანს.

დაგირავებული არის 3,054 მან. და 50 კაპ. 18 წლისა და შვიდ-თვის ვადით.—

(3—1)

ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.

თფილისის **ს**აადგილ-**მ**ამულო **ბ**ანკის **ზ**ედამხედველ **ک**ომიტეტის **თ**ავს-მჯდომარეს პატივი აქვს ამ ბანკის დამწესებელთ აცნობოს, რომ, რადგან 10 ღვინობისთვეს დანიშნულია საზოგადო უჩვეულებრივო კრება, დამწესებელთა რიცხვის ნაკლებობის გამო, ვერ შესდგა, ამის გამო, თანახმად **ბ**ანკის **წ**ესდების §83 მუხლსა, დაინიშნება **მ**ეორე **უ**ჩვეულებრივო **ს**აზოგადო **კ**რება 15 **ნ**ოემბერს ამავე **წ**ელსა, **დ**ილის 10 **ს**აათზე.

კრების სხდომები იქნება **ბ**ანკის საადგომში, **ს**ოლოლაკის ქუჩაზე: **ᲥᲝᲠᲦᲐ**ნოვის სახლებში.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ამ მეორე უჩვეულებრივო **კ**რებისა იმ საგნების შესახებ, **რ**ომელნიც **პ**ირველის სხდომისათვის იყენენ **გ**ანსასჯელად **დ**ანიშნულნი-**წ**ესდების §83 მუხლის თანახმად **დ**ადგენილნი, **დ**ა**ბ**ოლოებითი **ი**ქნებიან, **რ**ამდენი **წ**ევრნიც **უ**ნდა **დ**ა**ე**სწრნენ ამ **მ**ეორეჯერ **დ**ანიშნულს **დ**ამწესებელთა **კ**რებაზედ.

(3—2)

ᲜᲔᲛᲔᲪᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ჰსურს **ა**ძლიოს ამ ენის **ᲑᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ.**

მსურველს **შ**ეუძლიან **მ**იმართოს ამ **ა**დრესსით: **ს**აპიორის ქუჩა, **ს**ახლის **№** 48.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ. . .	9	40			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . .	9	13						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ.
ᲝᲪᲘ სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ᲤᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, შვეიცარიაში	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და საფრანგეთში.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ᲝᲖᲣᲠ.—პარასკ. და ორშ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ— სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ— ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ
და სამზღვარ გარეთ:		
ᲦᲘᲐ წიგნის		4
დ.ბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ᲑᲘᲠᲜᲐ

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 23 ღვინობ.		
ერთი ანგლიური ლირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 23 პენსი.	—	78
პარიეში 245 სანტიმი.	—	62
მსკოტი (სარგებლისფასი)	7[illegible]	—
ბანკის ბილეთი 5%	95	[illegible]
მოგებიანი (პირველისა ხ.	[illegible]14	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	2[illegible]7	5[illegible]
ბირჟის [illegible]ბი.		
[illegible] საბნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½)	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ სავაჭრო ბანკის	177	—
ᲤᲝᲗᲘ-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და მერკურის	225	—
პირვ. საზღვევ. საზღვ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ		
	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
თფილისი, 25 ღვინობ.		
ᲤᲥᲕ. თეთ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ფუთ.	1	90
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	1	45
ᲥᲐᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	25
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ფუთი .	8	20
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ფუთი . .	8	50
ᲑᲐᲠᲔᲜᲓᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	9	50
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ თუᲨᲣᲠᲘ ფუ.	7	—
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ფუ. .	3	50
ᲐᲑᲠᲔᲣᲨᲘᲗᲘ ნუᲮᲣᲠᲘ სტ.	3	—
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	5	80
ᲥᲝᲜᲘᲡ სანთელი ᲤᲣᲗᲘ.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ლიტ.	—	54
—ᲪᲮᲔᲠᲘᲡᲐ, ლიტრა. .	—	63
სპირტი, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	12
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	8	20
—ᲤᲣᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	7	20
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲤᲣᲗᲘ .	26	—
ᲮᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	12	—
ᲝᲚᲥᲝᲠ ½ იმპერიალი. .	8	38

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Октября 1877 г. Типографія Меликова. ბამბამკეთელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.